



საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

ავტომობილიზაციის ხარისხი და ექპორტ-იმპორტის ანალიზი

(კვლევა ეყრდნობა საბაჟო მონაცემებსა და საპატრულო პოლიციის ინფორმაციას)

2010 წელი

ავტომობილიზაციის ხარისხი

ავტომობილიზაციის ხარისხი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არასტანდარტულ შეფასებას. ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის თეორიის მკვლევართა აზრით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ავტომატურად იწვევს ავტომობილიზაციის ხარისხის ზრდას და შესაბამისად, ავტომობილიზაციის ხარისხის გაზომვა გარკვეული ცდომილებით ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური სფეროს მეცნიერების აზრით ეკონომიკური ზრდა პირდაპირ პროპორციულად აისახება ავტომობილიზაციის ხარისხის ზრდაზე.

ავტომობილიზაციის ხარისხი აჩვენებს ქვეყანაში მცხოვრები ათასი ადამიანიდან რამდენს ჰყავს მსუბუქი ავტომობილი.

ავტომობილიზაციის ხარისხი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Qa = Na / P''$$

Qa – ავტომობილიზაციის ხარისხი;

Na – ქვეყანაში დარეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა;

P'' – ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა შეფარდებული ათასზე.

2010 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4 385 400 ადამიანს. ამასთან, საპატრულო პოლიციის ინფორმაციით 2010 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოში დარეგისტრირებული არის 683 751 ავტომობილი.

შესაბამისად:

$$Na = 683\,751$$

$$P'' = 4\,385\,400 / 1\,000 = 4\,385$$

$$Qa = 683\,751 / 4\,385 = 156$$

ამდენად, საქართველოში ავტომობილიზაციის ხარისხი შეადგენს 156-ს.

ექსპორტ-იმპორტის ანალიზი


2008 წელი (ივნის-დეკემბერი)

➤ იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობა და ღირებულება

2008 წლის ივნის-დეკემბერში საქართველოში იმპორტირებული იქნა 34 352 ავტომობილი, რომელთა მიახლოებითაა ღირებულებამ 357.2 მლნ ლარი შეადგინა.


➤ საიმპორტო ქვეყნები

2008 წელს ავტომობილების იმპორტი ძირითადად გერმანიიდან, აშშ-სა და იაპონიიდან განხორციელდა. ხოლო იმპორტის მცირე წილი დიდ ბრიტანეთზე, ჰოლანდიაზე, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებზე მოდის.



➤ იმპორტირებული ავტომობილების მარკები

2008 წლის ივნის-დეკემბერში იმპორტირებულ ავტომობილებში მარკების მიხედვით ყველაზე მაღალი წილი ოპელის, მერსედესის და ბეემეს მარკის ავტომობილებზე მოდის.



2009 წელი


➤ იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობა და ღირებულება

2009 წელს საქართველოში იმპორტირებული იქნა **31 831** ავტომობილი, რომელთა მიახლოებითაა ღირებულებამ **313.1** მლნ ლარი შეადგინა.

➤ საიმპორტო ქვეყნები

2009 წელს ავტომობილების ყველაზე დიდი იმპორტი გერმანიიდან განხორციელდა, სულ – 10 579 ავტომობილი, რაც მთლიანი იმპორტის 33%-ს შეადგენს. ასევე, ავტომობილების ძირითადი საიმპორტო ქვეყნებია აშშ და იაპონია, ხოლო იმპორტის მცირე წილი დიდ ბრიტანეთზე, ჰოლანდიაზე, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებზე მოდის.


2009 წლის ავტომობილების იმპორტი ქვეყნების მიხედვით



➤ იმპორტირებული ავტომობილების მარკები


იმპორტირებულ ავტომობილებში ყველაზე დიდი წილი მერსედესის მარკის ავტომობილებზე მოდის, აგრეთვე იმპორტში მნიშვნელოვანი წილი ოპელის, მიტსუბისის და ბმვ-ს ავტომობილებს უკავიათ.

2009 წლის ავტომობილების იმპორტი მარკების მიხედვით



➤ საბაჟო და სააქციზო გადასახადი

2009 წელს იმპორტირებული ავტომობილების საბაჟო და სააქციზო გადასახადმა 48.7 მლნ ლარი შეადგინა.




2010 წელი (იანვარ-მაისი)

იმპორტი


➤ იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობა და ღირებულება

2010 წლის იანვარ-მაისში საქართველოში განხორციელდა 17 657 ავტომობილის იმპორტი, რომელთა მიახლოებითაა ღირებულებამ 201.1 მლნ ლარი შეადგინა. ავტომობილების იმპორტი ძირითადად აშშ-დან, გერმანიიდან და იაპონიიდან განხორციელდა.



➤ იმპორტირებული ავტომობილების მარკები


2010 წლის იანვარ-მაისში იმპორტირებული ავტომობილების ყველაზე დიდი პროცენტი მერსედეს ბენცზე, ოპელსა და მიცუბისზე მოდის.



➤ საბაჟო და სააქციზო გადასახადი

2010 წლის იანვარ-მაისში იმპორტირებული ავტომობილების საბაჟო და სააქციზო გადასახადმა 27.8 მლნ ლარი შეადგინა.

2010 წლის იანვარ-მაისის იმპორტირებული ავტომობილების საბაჟო და სააქციზო გადასახადები




ექსპორტი

➤ ექსპორტირებული ავტომობილების რაოდენობა და ღირებულება

2010 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან 455 ავტომობილის ექსპორტი განხორციელდა, რომელთა საერთო ღირებულებამ 13 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ავტომობილების ექსპორტი ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში ხორციელდებოდა.

2010 წლის იანვარ-მაისის
ექსპორტირებული ავტომობილები



➤ საბაჟო და სააქციზო გადასახადი

2010 წლის იანვარ-მაისში ექსპორტირებული ავტომობილების საბაჟო და სააქციზო გადასახადმა 11 678 ლარი შეადგინა.

2010 წლის იანვარ-მაისის ექსპორტირებული
ავტომობილების საბაჟო და სააქციზო
გადასახადები

